სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/150

ქ. თბილისი

29 ივლისი 2025 წ.

„სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 08 ნოემბრის №01-05-04/163 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის, ქალბატონ თამარ წერეთლის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. შეტანილი იქნეს ცვლილება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 08 ნოემბრის №01-05-04/163 დადგენილებით დამტკიცებულ „სტუ-ის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“ დებულებაში და დებულების მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული აკრედიტაციის მქონე პროგრამის (მხოლოდ ერთის) ხელმძღვანელს აღიშნული საქმიანობა შეიძლება ჩაეთვალოს აკადემიური დატვირთვის კომპონენტად კვირაში 2 საათის ოდენობით, ხოლო ორი პროგრამის ხელმძღვანელობის შემთხვევაში - კვირაში 3 საათის ოდენობით.“.

2. დადგენილება ამოქმედდეს 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**